# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №79

2016 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

## ტექნიკური რეგლამენტის – აჯამეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

**მუხლი 1**

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – აჯამეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

*დანართი*

# ტექნიკური რეგლამენტი
# აჯამეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა
## თავი I
## შესავალი

**მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზანი და ტერიტორიული სფერო**

წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა აჯამეთის აღკვეთილისთვის. მენეჯმენტის გეგმა მომზადდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ის სავალდებულოა ყველა დაცული ტერიტორიისთვის. მენეჯმენტის გეგმის მიზანია დაცული ტერიტორიისათვის გრძელვადიანი მიზნების დასახვა, რომელთა განხორციელებაც მიზნად უნდა დაისახოს პასუხისმგებელმა უწყებამ გეგმის მოქმედების პერიოდში, შედეგების მისაღწევად მის მიერ შესასრულებელი კონკრეტული ქმედებებისა და პროგრესის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრის გზით.

**მუხლი 2. დაცული ტერიტორიის შექმნის მთავარი მიზნები**

აჯამეთის აღკვეთილი შეიქმნა 2007 წლის 22 ნოემბერს საქართველოს კანონით „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ", შემდეგი მიზნებისთვის:

ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების მიზნით აღკვეთილის იმ უბნების დაცვისა და აღდგენის ხელშეწყობა, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩევა ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლებით;

ბ) ბუნებრივ-ეკოლოგიური სისტემების, ლანდშაფტების, ფაუნისა და ფლორის ბიომრავალფეროვნების, განსაკუთრებით კი გადაშენების საფრთხის პირას მყოფი მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვის, მოვლის, აღდგენისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა;

გ) ბუნებრივ გარემოში დასვენებისა და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა;

დ) აჯამეთის აღკვეთილის მიწის, წყლის, ფაუნის, ფლორის (ტყეების ჩათვლით) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა; ხელსაყრელი პირობების შექმნა საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევისა და შესწავლისათვის;

ე) აჯამეთის აღკვეთილის ძირითადი მიზნებით განსაზღვრული იმერეთის მუხის (Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) ტყის დაცვა, მოვლა და აღდგენა.

**მუხლი 3. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი**

მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

ა) 2013 წლის ოქტომბერში გაიმართა დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის საკითხებისადმი მიძღვნილი სამუშაო შეხვედრა, მენეჯმენტის გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპისთვის რეგიონში ძირითადი პარტნიორების განსაზღვრის მიზნით;

ბ) მენეჯმენტის გეგმის I და II თავები შემუშავდა 2014 წლის იანვარში, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე;

გ) 2014 წლის 31 მარტს გაიმართა საწყისი სამუშაო შეხვედრა, ხოლო პირველ აპრილს – სიტუაციური ანალიზის სამუშაო შეხვედრა გარე დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმის I და II თავების პროექტი, განისაზღვრა დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებები, შეთანხმდა გრძელვადიანი მიზნები, განისაზღვრა ის პრობლემები და შესაძლებლობები, რომლებზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს მენეჯმენტის გეგმაში;

დ) 2014 წლის აპრილში მენეჯმენტის გეგმის I და II თავები გადამუშავდა სიტუაციური ანალიზის სამუშაო შეხვედრის შედეგების მიხედვით;

ე) 2014 წლის ოქტომბერში გარე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად გაიმართა გეგმარებითი სამუშაო შეხვედრა, გადამუშავდა მენეჯმენტის გეგმის III და IV თავები და განისაზღვრა საშუალოვადიანი მიზნები და პროგრამები. სამუშაო შეხვედრის შემდეგ შემუშავდა მენეჯმენტის გეგმის V, VI და VII თავები;

ვ) „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური

ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანების მე-14 მუხლის შესაბამისად, სამუშო ვერსიის შესახებ საჯარო კონსულტაცია დაიწყო 2015 წლის 13 თებერვალს. განხილული და გათვალისწინებული იქნა ის მიღებული წერილობითი კომენტარები, რომლებიც სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ შესაბამისად იქნა მიჩნეული;

ზ) 2015 წლის 16 მარტს საჯარო მოსმენა გაიმართა აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციაში, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე იყო მოწვეული. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც განიხილეს მენეჯმენტის გეგმა სამუშაო ჯგუფთან ერთად;

თ) 2015 წლის 17 მარტს თბილისში გაიმართა მენეჯმენტის გეგმის სამუშაო ვერსიის საკონსულტაციო განხილვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებზე გამოთქმული კომენტარები გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

**მუხლი 4. მენეჯმენტის გეგმის ხანგრძლივობა**

მენეჯმენტის გეგმა მოქმედებს მისი ძალაში შესვლის დღიდან 6 წლის განმავლობაში.

**მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის გადასინჯვა და განახლება**

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეექვსე წლის პირველი კვარტალისა, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მიღებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II
## დაცული ტერიტორიის აღწერა

**მუხლი 6. ადგილმდებარეობა**

აჯამეთის აღკვეთილი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, ორი მუნიციპალიტეტის – ბაღდათისა და ზესტაფონის ტერიტორიაზე, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე რიონის შენაკადების – ყვირილასა და ხანისწყლის აუზებში, ზღვის დონიდან 150-200 მ სიმაღლეზე. აღკვეთილი მოიცავს აჯამეთის, ობჩისა და ვარციხის უბნებს, რომლის მთლიანი ფართობი, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, შეადგენს 4990,57 ჰექტარს (დაცული ტერიტორიის ადგილმდებარეობისა და საზღვრების ამსახველი რუკა იხ. დანართ №1-ში).

**მუხლი 7. დაცული ტერიტორიის როლი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე**

აჯამეთის აღკვეთილი წარმოადგენს საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის შედარებით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილს. იგი მოიცავს ვიწრო ენდემის – იმერული მუხის საკმაოდ მოზრდილ ტყის მასივს. მიუხედავად იმისა, რომ აღკვეთილის ტყეები მრავალი ათწლეულის მანძილზე ადამიანთა ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ის წარმოადგენს საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის უნიკალურ ნაწილს. აღკვეთილი ისტორიული კოლხეთის ლანდშაფტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწილია.

**მუხლი 8. აჯამეთის აღკვეთილის ისტორია**

1. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ აჯამეთის ტყეები გამოიყენებოდა როგორც ქართველ მეფეთა სანადირო ტერიტორია. XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, ტერიტორია გადაეცა სახელმწიფო ხაზინას, რომელმაც იგი მიჰყიდა ფრანგ მოგზაურსა და ვაჭარს ჯ. გამბას. გამბას გარდაცვალების შემდეგ მისმა ქალიშვილმა ეს ტერიტორია გაასხვისა მიწის მესაკუთრესა და ღვინის მწარმოებელ მ. ონანოვზე, რომელმაც ააშენა ღვინისა და კონიაკის ქარხანა სოფელ ვარციხეში.
2. აჯამეთის ტყეების იმერეთის მუხის (Quercus imeretina) მერქანი გამოიყენებოდა ღვინისა და

კონიაკის კასრების დასამზადებლად. იგივე მასალა გამოიყენებოდა რკინიგზის შპალებისა და მაღაროს საბჯენებისათვის. ამ ღონისძიებებმა არსებული მარაგი შეამცირა 30%-ით.

3. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ აჯამეთის ტყეები გადავიდა ქუთაისის პროვინციის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში სახელწოდებით,,აჯამეთის სატყეო ერთეული" და მოგვიანებით გაერთიანდა ქუთაისის სატყეო განყოფილებასთან.

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 18.05 №591 დადგენილების დანართით, საქართველოს სსრ ტყეების ჯგუფებად დაყოფის შესახებ, აჯამეთის, ვარციხის და სვირის სატყეო აგარაკები მიკუთვნებული იყვნენ პირველი ჯგუფის ტყეებს, როგორც ნაკრძალები.

5. 1946 წელს აჯამეთის ტყეებს მიენიჭა,,სახელმწიფო ნაკრძალის" სტატუსი და გადაეცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) სახალხო კომისარიატის ნაკრძალთა მართვის მთავარ სამმართველოს და მოგვიანებით გადაეცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს ცკკპ-ს 1951 წლის 21 სექტემბრის №1335 დადგენილებით აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალი გაუქმდა და გადაეცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს. შემდეგ ისევე აღდგენილი იქნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აპრილის №196 დადგენილებით, „აჯამეთის ნაკრძალი" 3400 ჰექტარი ფართობით. ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

7. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 იანვრის №45 დადგენილებით, აჯამეთის სახ. ნაკრძალს გადაეცა მაიაკოვსკის (ბაღდათის) სატყეო მეურნეობიდან ვარციხის სატყეო აგარაკი (1142 ჰა ფართობით) და ორჯონიკიძის (ხარაგაულის) სატყეო მეურნეობიდან – სვირის სატყეო აგარაკი (211 ჰა). დადგენილების თანახმად, აჯამეთის ნაკრძალის ფართობი შეადგენს 4753 ჰექტარს, 1965 წელს კი, ტყეთმოწყობის მასალებით ნაკრძალის ფართობი არის 4848 ჰა, რაც 1975 წლის ტ/მ მასალებსაც ედრება. 2007 წელს აჯამეთის ტყეებს სტატუსი შეეცვალა და მიენიჭა აჯამეთის აღკვეთილის სტატუსი, რომელიც დღესდღეობით არსებული საზღვრების ფარგლებშია.

8. ბოლო 100 წლის განმავლობაში დაფიქსირდა სხვადასხვა ცვლილებები აჯამეთის ტყეების დაცვის სტატუსის კუთხით. მენეჯმენტის გეგმა ხელს შეუწყობს ტერიტორიის სტაბილურობის უზრუნველყოფას, ტერიტორიის გრძელვადიანი მართვის სტრატეგიული ხედვის შემუშავებით.

**მუხლი 9. გეოლოგია და ჰიდროლოგია**

1. ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების რელიეფი, გეოლოგია, მცენარეული საფარი და რაიონის კლიმატური პირობები ადამიანის სამეურნეო მოქმედებასთან ერთად, განსაზღვრავს აჯამეთის აღკვეთილის ნიადაგური საფარის ნაირგვარობას. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ნიადაგები ვერტიკალური ზონალობის პრინციპზეა აგებული და კანონზომიერად იცვლება ყვითელმიწა ნიადაგებით, რომლებიც უმთავრესად ფორმირდება თიხიან, დაბალმთიან პირობებში, ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე/ფიქლებზე. ტენიანი, სუბტროპიკული ჰავის ნალექების უხვი რაოდენობის ზეგავლენით ყვითელმიწა ნიადაგები ღარიბია საკვები ნივთიერებებით.

2. აჯამეთის აღკვეთილი განლაგებულია ვაკე რელიეფზე, ალაგ-ალაგ პატარა ჩაღრმავებებით, რაც მიმართულებას აძლევს წვიმის წყალს ღელეებისკენ. ღელეები აღკვეთილში საკმოდ არის, ისინი ზაფხულობით შრება, დიდი წვიმებისა და თოვლის დნობის პერიოდში კი, კვლავ ივსება წყლით. მათგან აღსანიშნავია შემდეგი დიდი ღელეები: ღრმა ღელე, ფრატის ღელე, კაკუჩას ღელე, ცხენთაროს ღელე და ბანურის ღელე. აჯამეთის სატყეო უბანს სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო ვარციხის სატყეო უბანს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩაუდის მდინარე ხანისწყალი, რომელიც ერთვის მდინარე რიონს. აღკვეთილში გადის მდინარე ყვირილადან გამოყვანილი სარწყავი არხი, რომელიც დღეს არ ფუნქციონირებს. აღკვეთილის მიდამოებში წყაროები არ გვხვდება.

**მუხლი 10. კლიმატი**

1. აჯამეთის აღკვეთილის ტყეები კავკასიის ტყის მცენარეულობის ოლქების და ვერტიკალური ზონალობის დაყოფის მიხედვით, მდებარეობს დასავლეთ ამიერკავკასიის ოლქში. კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილის ეგრეთ წოდებულ იმერეთის დაბლობზე, რომლის დახრილობა

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მდინარე ყვირილის გასწვრივ უმნიშვნელოა. იგი ნალექების დიდი რაოდენობით ზღვის ტიპის ტენიანი ჰავით ხასიათდება. აღკვეთილის ტყის მცენარეულობა მთლიანად მოქცეულია სუბტროპიკულ სარტყელში, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან არ აღემატება 150-200 მეტრს. ამ სარტყლის დამახასიათებელ წარმომადგენლად ითვლება: იმერეთის მუხა, ქართული მუხა, წაბლი, ლაფანი, იფანი, რცხილა და სხვა. კოლხეთის დაბლობის ის ნაწილი, რომელიც ჭარბი ტენიანობით ხასიათდება, უკავია მურყნის (თხმელის) ტყეებს.

2. ბაღდათის რაიონში ნალექების რაოდენობაზე და მის განაწილებაზე დიდ გავლენას ახდენს სამხრეთის მთიანი ქედები და მათი განშტოებები. ისინი ქმნიან ჰაერის აღმავალი დინების ძლიერ სისტემას. დღისით ადგილი აქვს ძლიერი აღმავალი დინების განვითარებას, რომელთაც აორთქლებული სინოტივე მიაქვთ მაღლა ქედებისაკენ, სადაც იქცევა ღრუბლად და შემდეგ ბრუნდება ნალექების სახით. ამ ნალექებს ემატება გარედან მოსული ღრუბლებიდან მიღებული ტენიანობა, რის შედეგად ნალექების რაოდენობა იმატებს და იქმნება ხელსაყრელი პირობები მცენარეების ზრდა-განვითარებისთვის.

3. ზამთარი იწყება ნოემბრის თვის ბოლო რიცხვებიდან და გრძელდება მარტის თვის დასაწყისამდე. გაზაფხული იწყება მარტის თვის პირველი დეკადიდან, რომლის შემდეგ ტემპერატურა თანდათანობით მატულობს. გვიანი ყინვები და თოვლი შესაძლებელია იყოს აპრილის შუა რიცხვებში, ხოლო ადრეული ყინვები და თოვლი მოსალოდნელია ოქტომბრის ბოლოსათვისაც.

4. ზაფხული ბაღდათის რაიონში ცხელია და ხანგრძლივი. ივლისსა და აგვისტოში ჰაერის ტემპერატურა აღწევს მაქსიმუმს. აგვისტოს ბოლოდან იწყება ტემპერატურის თანდათან კლება. შემოდგომა დგება ნელ-ნელა, ტემპერატურა სექტემბრის განმავლობაში რჩება მაღალი და თვის ბოლოს იწყებს კლებას.

5. წინა წლების მონაცემების თანახმად, ყოველწლიური საშუალო ტემპერატურა +13,2 °C, ხოლო საშუალო ტენიანობა – 72%-ია.

**მუხლი 11. ლანდშაფტები**

აჯამეთის აღკვეთილი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის და დასავლეთ კავკასიის ზონებს შორის, ე.წ. იმერეთის დაბლობზე, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში. მთლიანი ტერიტორია ერთ დროს სავარაუდოდ დაფარული უნდა ყოფილიყო მუხნარის, ძელქვნარ-მუხნარის, რცხილნარ-მუხნარის, მუხნარ-რცხილნარით და ძელქვნარით.

**მუხლი 12. ჰაბიტატები**

1. კორომების ისტორიიდან და წარმოშობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჯამეთის აღკვეთილის მთლიანი ტერიტორია დაფარულია იმერული და ქართული მუხის ტყის ეკოსისტემებით, თუმცა არანაკლებ საყურადღებოა წიფლისა და ძელქვის ჰაბიტატები, აღსანიშნავია ასევე ჰართვისის მუხის არსებობა ტყის ზოგიერთ მონაკვეთზე.

2. აღმოსავლური წიფლის (Fagus orientalis) კორომი წარმოდგენილია აჯამეთის სატყეო უბანში, რაც წარმოადგენს იშვითობას აჯამეთის აღკვეთილისათვის.

3. ძელქვის წმინდა კორომი, დაახლოებით 2 ჰა ფართობი, გვხვდება აჯამეთის სატყეო უბანში, მდინარე ხანისწყლის სანაპიროზე. ძელქვის ხეების ცალკეული ერთეულების ნახვა შესაძლებელია აღკვეთილის მთელ ტერიტორიაზე.

**მუხლი 13. ფლორა**

1. მიუხედავად იმისა, რომ აჯამეთის აღკვეთილში იმერეთის მუხას (Quercus imeretina) დომინანტური მდგომარეობა აქვს, დენდროფლორა ძალიან მდიდარია და წარმოდგენილია 60-მდე სახეობით, რომელთაგან ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების კუთხით, მაგ.: ძელქვა (Zelkova carpinifolia), თამელი (Sorbus torminalis), ბალამწარა (Cerasus silvestris), ჰართვისის მუხა (Quercus hartwissiana), იმერეთის მუხა (Quercus imeretina) და სხვა. აქ ასევე გვხვდება მურყანი ანუ თხმელა (Alnus barbata) და კავკასიური რცხილა (Carpinus caucasica). შემოტანილია ეგზოტიკური სახეობები: გლედიჩია (Gleditsia sp.), ევკალიპტები (Eucalyptus sp.) და კორპის მუხა (Quercus suber). შემოტანილი ხეები ითვლება არაინვაზიურად, არამედ ბუნებრივი ჰაბიტატისთვის უცხო სახეობად (ეგზოტიკური).

2. ინვენტარიზაციის მასალების თანახმად, აჯამეთის აღკვეთილში 550-ზე მეტი მცენარის სახეობა იზრდება, რომელთაგან 60 მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეა, ხოლო 470-ზე მეტი – ბალახოვანი.

3. აჯამეთის აღკვეთილის დიდი ნაწილი მიახლოებულია ბერნის კონვენციით დაცულ ჭყორის ქვეტყიან მუხნარის ტიპთან, სადაც დომინირებს კლდის მუხა (acidophilous oak woodland -Quercus petraea-Ilex aquifolium). აჯამეთის აღკვეთილში წარმოდგენილია ტყის შემდეგი ტიპები:

ა) მუხნარი იელის ქვეტყით;

ბ) მუხნარი ბუჩქნარის ქვეტყით;

გ) მუხნარი გვიმრისა და მაყვლის საფარით;

დ) მუხნარ-რცხილნარი მკვდარი საფარით;

ე) მუხნარი წივანასა და თაგვისარას საფარით.

4. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია მერქნიანი მცენარის ოთხი სახეობა, რომელიც აჯამეთის აღკვეთილში იზრდება:

ა) იმერეთის მუხა (Quercus imeretina);

ბ) ძელქვა (Zelkova carpinifolia);

გ) ევროპული ურთხელი/უთხოვარი (Taxus baccata);

დ) პონტოს ძმერხლი (Ruscus ponticus).

**მუხლი 14. ფაუნა**

1. ზოოლოგების ზ. სიხარულიძისა და გ. გიორგობიანის მიერ 1996 წელს განხორციელებული საველე სამუშაოების მასალები და 1985 წლის ტყის ინვენტარიზაცია გამოყენებულ იქნა როგორც საფუძველი აჯამეთის აღკვეთილის ფაუნის ზოგადი მიმოხილვისთვის. დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობების სია იხილეთ დანართში №5. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის უხვი მასალა არსებობს ფაუნის სახეობების შესახებ, არ არსებობს აშკარა ფლაგმანი კონსერვაციული საქმიანობისთვის. ყურადღება უნდა მიექცეს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებს, რომლებიც დღემდე არსებობს.

2. აჯამეთის აღკვეთილში გვხვდება რეპტილიის ცხრა სახეობა, მათ შორისაა Vipera kaznakovi (კავკასიური გველგესლა), რომელიც შხამიანია და წითელი ნუსხის სახეობაა. იგი მცირე რაოდენობითაა გავრცელებული დაცულ ტერიტორიაზე, რაც დასტურდება იქ მომუშავე ჰერპეტოლოგების მონაცემებით და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით.

3. წავის (Lutra lutra Linnaeus) რაოდენობა შემცირდა უკანასკნელ წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამჟამად დაახლოებით 10-მდე წავია შემორჩენილი დაცული ტერიტორიის აჯამეთის სატყეო უბნის V და VI კვარტლებში და მდ. ხანისწყლის მიდამოებში. წავი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში გადაშენების პირას მყოფი სახეობის სტატუსით, ამიტომ მასზე უნდა განხორციელდეს ინტენსიური მონიტორინგი და გატარდეს სათანადო საკონსერვაციო ღონისძიებები. 83-დან ოთხი სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

**მუხლი 15. სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა**

1. მავნებელ მწერებსა და ტყის პათოგენებზე არსებობს რეგულარული მონიტორინგი. სხვა კვლევითი ღონისძიებები არ ხორციელდება სისტემატიზებულად.

2. აჯამეთის აღკვეთილი ინტენსიურად გამოიყენება ადგილობრივი სკოლებისთვის ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის აღკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომელთა და ადგილობრივი სკოლების პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით.

**მუხლი 16. საკუთრება და მიწათსარგებლობა**

1. აჯამეთის აღკვეთილის საზღვრებში არსებული ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა. ადგილი აქვს არამერქნული ტყის პროდუქტების (კენკრა, სოკო) ტრადიციულ გამოყენებას და არსებობს პირუტყვის გადაადგილების მარშრუტები ტერიტორიის გავლით. ერთი გზა გადის ტყის ძირითად კვარტალზე, ასევე მიწისქვეშ გამავალი გაზსადენი კვეთს ტყის ყველაზე დიდ მასივს. აღკვეთილის სხვადასხვა უბნებზე გადის სარწყავი წყლის არხები.

2. აღკვეთილის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის ფორმები რეგულირდება „დაცული

ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად. აღკვეთილში მიწათსარგებლობა, რომელიც შესაბამისობაშია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) IV კატეგორიასთან, სადაც შეზღუდული არაა მანიპულაციური და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა, საგანმანათლებლო საქმიანობა, ეკოტურიზმი, აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება. აღკვეთილი შეიძლება დაიყოს ცალკეულ ნაწილებად, რომლებიც ცალ-ცალკე განსაზღვრავს აღკვეთილის ცალკეულ ტერიტორიებზე მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ წესებსა და შეზღუდვებს.

**მუხლი 17. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა**

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობიდან აჯამეთის აღკვეთილის მკაცრი დაცვის ზონაში არსებული, მცირე ციხე-სიმაგრის ნანგრევებია, ძელქვის იზოლირებულ კორომში. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ვერ მოიძებნა ადგილის შესახებ, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს უძველეს ვარციხის უბანთან, რომელიც პირველად მოიხსენიება მეექვსე საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში. ქალაქს ჰქონდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, მასზე გადიოდა აგრეთვე უძველესი სავაჭრო გზა. მეექვსე საუკუნის შუა პერიოდში სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. IX-X საუკუნეებში ქალაქმა რენესანსის ხანა გამოიარა. მოგვიანებით, იგი წარმოადგენდა იმერეთის მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციას. 1968 წელს ამ ტერიტორიაზე ჩატარდა ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები, აღმოაჩინეს უძველესი ქალაქი. იგი თარიღდება IV-VI საუკუნეებით და თავდაცვის მიზნით კარგად იყო გამაგრებული კოშკებიანი ძლიერი კედლით. 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკის თანახმად, ამ ადგილას იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მიერ მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩატარებულა.

**მუხლი 18. ტურიზმი და რეკრეაცია**

აჯამეთის აღკვეთილში არ არის განვითარებული ეკოტურიზმი. ტყის ლანდშაფტი, აღკვეთილის ადვილად მისადგომი ტერიტორია და ქალაქ ქუთაისთან სიახლოვე მას მიმზიდველ ადგილად წარმოაჩენს. არსებობს საცხენოსნო და ველოტურიზმის პოტენციალი.

**მუხლი 19. ადგილობრივი ეკონომიკა დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში**

1. აჯამეთის აღკვეთილი მდებარეობს ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე, სადაც ეკონომიკა კარგად განვითარებული და მრავალფეროვანია. მევენახეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა და ღვინის წარმოება წამყვანი მიმართულებებია ამ მუნიციპალიტეტებისათვის.

2. სამრეწველო წამოწყებებს შორის არის ღვინის ქარხნები ბაღდათში, წითელხევში, ვარციხესა და ობჩაში. საირმეში მუშაობს მინერალური წყლისა და ავეჯის ქარხანები. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ელექტროსადენების წარმოების ქარხანა და სვირის ღვინის ქარხანა, რიგ მცირე საწარმოებთან ერთად.

3. ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი ლიცენზიის საფუძველზე გაცემულია გრძელვადიანი სარგებლობით და მერქნული რესურსი დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულია დიდ მანძილზე, რაც პრობლემას ქმნის მის ხელმისაწვდომობაზე.

## თავი III
## გრძელვადიანი მიზნები
### აჯამეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის გრძელვადიანი მიზნები – მდგომარეობა, რომლის მიღწევასაც სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო მიზნად ისახავს აღნიშნული დაცული ტერიტორიისთვის 20-25-წლის შემდეგ

**მუხლი 20. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია მნიშვნელოვანი და მოწყვლადი ჰაბიტატების, სახეობების, ესთეტიკური და წარმომადგენლობითი ლანდშაფტების დაცვის მეშვეობით**

აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორია ეფექტურად იმართება, რათა შენარჩუნდეს ბიოლოგიური პროცესები და სახეობათა მრავალფეროვნება, დამახასიათებელი ლანდშაფტები და ტყის თანასაზოგადოებები. მნიშვნელოვანი და მოწყვლადი ჰაბიტატების საკმარისი ნაწილი ბუნებრივად ვითარდება, რაც ხელს უწყობს ბუნებრივ და დამახასიათებელ სახეობრივ

მრავალფეროვნებას, იცავს ენდემურ და გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდს, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს „წითელ ნუსხაში" და რომლებიც გვხვდება აჯამეთის აღკვეთილში.

**მუხლი 21. მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მიკროკლიმატისა და ეკოსისტემების სერვისების შენარჩუნებასთან სახეობების, ჰაბიტატებისა და ეკოსისტემის დაცვის საშუალებით**

აჯამეთის აღკვეთილის ტყის მასივები უზრუნველყოფს მიკროკლიმატისა და ეკოსისტემის სერვისების შენარჩუნებას, რითაც სარგებელი მოაქვს როგორც დაცული ტერიტორიისთვის, ასევე იმერეთის რეგიონისთვის.

**მუხლი 22. ეკოგანათლებასთან დაკავშირებული მიზნები გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით**

აჯამეთის აღკვეთილი წარმოადგენს ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის ეკო-საგანმანათლებლო ობიექტს. აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ეკოსაგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას ადგილობრივი სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა გაიზარდოს და გავრცელდეს გარემოსდაცვითი ცნობიერება საზოგადოებაში.

**მუხლი 23. სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული მიზნები ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნებისათვის**

აჯამეთის აღკვეთილი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სამეცნიერო კვლევის შესაძლებლობას, რათა გაიღრმავონ ცოდნა ეკოსისტემების პროცესების, სახეობათა მრავალფეროვნების, კლიმატის ხანგრძლივი მონიტორინგისა და სხვა გარემოსდაცვითი მოვლენის შესახებ. კვლევის შედეგები და მონაცემები გროვდება და ინახება მონაცემთა ბაზასა და ბიბლიოთეკაში, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია.

**მუხლი 24. რეკრეაციის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები**

აჯამეთის აღკვეთილის ტყეები ქუთაისსა და მის შემოგარენში მცხოვრებთათვის რეკრეაციული და აქტიური დასვენების ტერიტორიას წარმოადგენს, რომელიც მნახველს სთავაზობს მაღალი ხარისხის მომსახურებას და ეკოტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას.

**მუხლი 25. სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები**

აჯამეთის აღკვეთილის ტყეები ადგილობრივი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, რასაც დამატებით ღირებულებას ეკოსისტემის პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება მატებს.

**მუხლი 26. დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციასთან დაკავშირებული მიზნები**

აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციას გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი, რათა განახორციელოს დაცული ტერიტორიის ეფექტური მართვა, შეინარჩუნოს ინფრასტრუქტურა. ადმინისტრაციას ჰყავს კარგად გადამზადებული თანამშრომლების ოპტიმალური ოდენობა, რომელთაც შესწევთ უნარი ბიომრავალფეროვნების დაცვისა და საზოგადოებრივი სერვისების უზრუნველყოფისა.

## თავი IV
## სიტუაციური ანალიზი

**მუხლი 27. რესურსების დაცვა და კონსერვაცია**

1. აჯამეთის აღკვეთილის ტყეების მართვა ხორციელდებოდა სხვადასხვა რეჟიმით უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ძირითადი შეზღუდვები არ იყო აღიარებული ტერიტორიის სიახლოვეს მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობის მიერ. ყოველთვის არის მოთხოვნა ტყეში ძოვებაზე და საშეშე მერქანზე, სოფლებში მცხოვრები ახლომდებარე მოსახლეობისგან.

2. 2014 წლის განმავლობაში გამოვლინდა სამართალდარღვევის 23 ფაქტი, მათ შორის: 3 უკანონო ჭრა, 8 ძოვება და 12 ბუნებათსარგებლობის რეჟიმის დარღვევა. 2013 წლის განმავლობაში შემდეგი სახის სამართალდარღვევები დაფიქსირდა: უკანონო ძოვების 20 შემთხვევა, უკანონო ჭრის 3 შემთხვევა, ნადირობის წესების დარღვევის 1 შემთხვევა, უკანონო ნადირობის 2 შემთხვევა, უკანონო თევზაობის 1 შემთხვევა, მიწის უკანონოდ დაკავების 2 შემთხვევა და აღკვეთილის

რეჟიმის დარღვევის 2 შემთხვევა. საერთო ჯამში, ამ პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა 31 სამართალდარღვევა. წინა წლებთან შედარებით სტატისტიკა ამგვარია: 2011 წელს დაფიქსირდა 25 სამართალდარღვევა, ხოლო 2012 წელს – 32 სამართალდარღვევა.

3. პატრულირების ძალისხმევის ზრდის გათვალისწინებით, რომელსაც ხელს უწყობს თანამედროვე მონიტორინგის აღჭურვილობა, ასევე სამართალდარღვევების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, დადგინდა, რომ უკანონო ქმედებები წლიდან წლამდე იდენტურია. ზოგადად, მდგომარეობა კონტროლის ქვეშაა. მომავალშიც აუცილებელია უწყვეტი პატრულირების განხორციელება. ამჟამად არსებული ხე-ტყის უკანონო ჭრა არ ემუქრება კონსერვაციას, მაგრამ უკანონო ძოვება და დანაგვიანება დიდი საფრთხის შემცველია.

4. აჯამეთის აღკვეთილის საზღვრები დაზუსტდა 2015 წელს ჩატარებული სადემარკაციო სამუშაოების შედეგად.

5. აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიას კვეთს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და ნავთობსადენი, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ მოვლას უსაფრთხოების დაცვის კუთხით, რაც აფერხებს დადგენილ რეჟიმს. საჭიროა აღნიშნული ტერიტორიების ზონირებისა და სამართლებრივი სტატუსის საკითხების განსაზღვრა.

6. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ყოველწლიურად დგას საკითხი მერქნული რესურსების გაცემასთან დაკავშირებით. მოსახლეობა აღკვეთილის ტყის სიახლოვის გამო მწვავედ აყენებს საკითხს შეშის გამოტანასთნ დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს ტერიტორიის დაცვის თვალსაზრისით.

**მუხლი 28. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება**

1. აჯამეთის აღკვეთილისათვის პროექტის ფარგლებში მომზადდა ტყის მართვის გეგმა მომდევნო 10 წლის საინვენტარიზაციო პერიოდისათვის, საჭიროა გეგმის დამტკიცება. ტყის კორომების სანიტარიული მდგომარეობა და ტყის აღდგენის პროცესი, ასევე სახეობათა შემადგენლობა განისაზღვრა ტყის მართვის გეგმაში. იგი ასევე აწესრიგებს ტყის მდგრად სარგებლობასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებულ ქმედებებს, რათა განისაზღვროს ჩასატარებელი ღონისძიებების სახე, ხარისხი, ადგილი და ტყითსარგებლობის სახეები.

2. აჯამეთის აღკვეთილი შეშით ამარაგებდა მიმდებარე სოფლების მოსახლეობას 2012 წლების ზამთრის სეზონამდე, როდესაც აღკვეთილის ტყეების საკონსერვაციო ღირებულებაზე ზეწოლის გამო ეს პროცესი შეჩერდა ინვენტარიზაციის ჩატარებამდე. მერქნული რესურსით სარგებლობა განისაზღვრება მას შემდეგ, რაც ინვენტარიზაციის მასალები დამტკიცდება. 1997 წლის ტყის მართვის გეგმით ყოველწლიური ნამატი შეადგენდა 7000მ$^3$-მდე. რიგ შემთხვევებში ჩატარებული ჭრები უფრო მაღალი იყო, რაც გამოწვეული იყო სანიტარიული მდგომარეობით და ასევე პასუხობდა სოციალურ მოთხოვნებს.

3. ტყეებში შესაძლებელია სხვადასხვა ბუნებრივი რესურსით სარგებლობა, მათ შორის არამერქნული ტყის პროდუქტებით, როგორიცაა: ხილ-კენკრა, სოკო, სამკურნალო მცენარეულობა და სხვა. აღკვეთილში მათი მოპოვება დასაშვებია და არ აქვს უარყოფითი გავლენა აღკვეთილზე.

**მუხლი 29. კვლევა და მონიტორინგი**

1. აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია ამზადებს ყოველწლიურ დოკუმენტს დაცული ტერიტორიის შესახებ, მათ შორის აერთიანებს ველზე შეგროვილ მონაცემებს.

2. ამ დროისთვის არ არსებობს მონიტორინგის უნიფიცირებული სისტემა, მონიტორინგი ხდება ძირითადად ვიზუალური დაკვირვებით, არ არსებობს ლაბორატორიული კვლევა. 2007 წელს ჩატარდა პათოლოგიური კვლევა სსიპ – ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მიერ. დამატებით მუხის მდგომარეობის შეფასება მოხდა უკრაინის ეროვნული სატყეო უნივერსიტეტის მიერ 2014 წელს FLEG-ის პროექტის ფარგლებში.

**მუხლი 30. ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა**

1. აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული ადგილობრივ სკოლებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ფორმირების პროცესში, ასევე მასპინძლობს სტუდენტთა ჯგუფებს და ურთიერთობს ადგილობრივ მოსახლეობასთან. 2014 წლის განმავლობაში აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩაერთო

1280 ადამიანი, მათ შორის 795 მოსწავლე, 105 პედაგოგი, 380 ადგილობრივი მოსახლე. მიუხედავად ამისა, ეკოსაგანმათლებლო აქტივობები არასაკმარისია და საზოგადოებრივი ცნობიერება კვლავ დაბალია.

2. დანაგვიანების პრობლემასთან საბრძოლველად ეწყობა დასუფთავების აქციები და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, თუმცა საჭიროა უფრო მეტის გაკეთება ამ კუთხით.

3. აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია ცდილობს სისტემატიურად დაამყაროს კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან და ატარებს პერიოდულ შეხვედრებს მათთან, რათა გააცნოს აღკვეთილის ადმინისტრაციის მუშაობა, წესები და რეგულაციები.

**მუხლი 31. რეკრეაცია**

1. არსებობს დასვენების მაღალი პოტენციალი ადგილობრივი და რეგიონის მოსახლეობისთვის. აღკვეთილის ტერიტორიაზე არ არსებობს რეკრეაციული ინფრასტრუქტურა, ამავდროულად არ არსებობს აღვეთილის გარშემო არსებულ დასახლებულ პუნქტებში კვების ობიექტები, ვიზიტორთა მოსასვენებელი ადგილები და ა.შ.

2. ნარჩენების შეგროვება და მართვა პრობლემას წარმოადგენს გზის გასწვრივ, განსაკუთრებით სასაფლაოების სიახლოვეს. ცნობიერების ამაღლების გაზრდა აუცილებელია, რათა ხალხმა გამოიმუშაოს ბუნებაში ქცევის წესები.

**მუხლი 32. აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციის მდგომარეობა**

1. აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა წარმოდგენილია: დირექტორით, დაცვის განყოფილების უფროსით, რომელსაც ეხმარება 1 უფროსი რეინჯერი, 14 რეინჯერი და ერთი ბუნებრივი რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი.

2. მიმდინარე საკადრო შტატი საკმარისად მიიჩნევა რესურსების დაცვის თვალსაზრისით. თუმცა, როგორც კი კონსერვაციისა და მართვის სამუშაოები დაიწყებს გაძლიერებას, საჭირო იქნება დამატებითი ადამიანური რესურსი და არსებული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება. ვიზიტორთა სერვისების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით, არსებულ პერსონალს არ გააჩნია საკმარისი შესაძლებლობები დაცული ტერიტორიის უკეთ სამართავად. პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები მომავალში უნდა გაიზარდოს.

3. 2014 წელს აშენდა ახალი ადმინისტრაციული შენობა. ბალანსზე რიცხული რეინჯერთა ხუთი თავშესაფარი ამორტიზებულია და საჭიროებს შეცვლას. ადმინისტრაციას ერიცხება ორი მოძველებული და ერთი ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალება. მოძველებული სატრანსპორტო საშუალება საჭიროებს განახლებას. ადმინისტრაცია აღჭურვილია ასევე 5 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღით, 2 ერთეული სახანძრო ინვენტარით (უნიფორმა, ზურგჩანთა) და 2 ფოტოხანფაგით. დამატებით საჭიროა ფოტოხაფანგები, ხერგილები, ცეცხლსასროლი იარაღი, უნიფორმა, რეინჯერის აღჭურვილობა. ტურისტული პოტენციალის განსაზღვრის შემდგომ საჭირო გახდება ეკო-ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

4. ადმინისტრაციის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარე პროცესია. საჭირო იქნება უწყვეტი სწავლება, რათა შემდგომში გაუმჯობესდეს ადმინისტრაციის ეფექტურობა ვიზიტორთა მართვის, ბუნების ინტერპრეტაციის, ეკო-განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების, კომუნიკაციისა და სახეობების მონიტორინგის კუთხით, განსაკუთრებით კონკრეტული მონიტორინგის სქემების მიხედვით.

5. აჯამეთის აღკვეთილის ძირითადი დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც არასაკმარისია. ძირითადად დაფინანსება მოიცავს ხელფასებს, საწვავს, კომუნალურ და საკანცელარიო ხარჯებს.

6. ადმინისტრაციას არ აქვს საოფისე ინვენტარი: მაგიდა, სკამი, პროექტორი, კომპიუტერი და ა.შ.

7. ადმინისტრაციაში დასაქმებული თანამშრომლების ანაზღაურება დაბალია.

8. ადმინისტრაცია ამზადებს კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალურ ოფისში წარსადგენად და ამზადებს ყოველწლიურ მატიანეს აღკვეთილის შესახებ.

**თავი V**

## ზონირება

**მუხლი 33. აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიის მდებარეობა და საერთო ფართობი**

1. აჯამეთის აღკვეთილი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

2. აჯამეთის აღკვეთილი მოიცავს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას, საერთო ფართობით 4990,57 ჰა.

3. აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორია იყოფა 3 ტერიტორიულ ერთეულად: აჯამეთის, ობჩისა და ვარციხის უბნებად.

**მუხლი 34. აჯამეთის აღკვეთილის ზონები, მათი ფართობები და საზღვრები**

1. აჯამეთის აღკვეთილი იყოფა ორ ზონად:

ა) მკაცრი დაცვის ზონა;

ბ) ტრადიციული გამოყენების ზონა.

2. აჯამეთის აღკვეთილის მკაცრი დაცვის ზონა ეწყობა ბუნებაში მიმდინარე პროცესების, ბუნებრივი გარემოს ხელუხლებელ მდგომარეობაში დაცვის, შენარჩუნებისა და საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ტურისტული საქმიანობისათვის.

3. აჯამეთის აღკვეთილის მკაცრი დაცვის ზონის საერთო ფართობი შეადგენს 674 ჰა-ს. (გეოგრაფიული კოორდინატები იხ. დანართ №6-ში).

4. აჯამეთის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა, მათ შორის, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობათა დაცვისა და შენარჩუნებისათვის, ადამიანის მხრიდან სპეციალური, მოვლითი და აღდგენა-განახლებითი ღონისძიებების ჩატარებისათვის და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად.

5. აჯამეთის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონა შეადგენს 4316.57 ჰექტარ ტერიტორიას, რომელიც მოიცავს აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.

**მუხლი 35. აჯამეთის აღკვეთილის მკაცრი დაცვის ზონაში დაშვებული საქმიანობები**

აჯამეთის აღკვეთილის მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგისა;

ბ) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისა;

გ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

დ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელებისა;

ე) სამეცნიერო და ეკოსაგანმათლებლო მიზნით ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;

ვ) დაცვის ღონისძიებებისა, რომლებიც არ მოიცავს ისეთ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებს, როგორიც არის ჭრები, მავნებლებით ძლიერ დაზიანებული და ხმელი ხეების ამოღება და ხანძრებისგან დაცვის მიზნით ტყეების ჩახერგილობისგან გაწმენდა;

ზ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, გზებზე და ბილიკებზე ცხენებითა და ავტომოტოტრანსპორტით გადაადგილებისა;

თ) დაცვის საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა;

ი) აჯამეთის აღკვეთილის ტყის აღდგენითი ღონისძიებების განსახორციელებლად მერქნიანი მცენარეების თესლების შეგროვებისა, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით „წითელი ნუსხით" დაცული მერქნიანი მცენარეებისა.

**მუხლი 36. აჯამეთის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებული საქმიანობა**

1. აჯამეთის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებასთან დაკავებული საქმიანობისა;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;

გ) ტყის ეკოსისტემების დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ე) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვებისა;

ზ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა;

თ) ტყის აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობისა. ტყის აღდგენითი ღონისძიებებისათვის დაშვებულია აგრეთვე გაშენება თესვით ბუდობრივად, ნიადაგის აჩიჩქვნა-შეთესვა ან მის გარეშე, ტერიტორიის შეღობვა;

ი) ტყის აღდგენისათვის ტერიტორიის გასუფთავებისა ბუჩქნარისაგან, სარეველა მცენარეებისაგან და მეორადი (ამონყრითი) ხე-მცენარეებისაგან;

კ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გზებზე და ბილიკებზე ცხენებითა და ავტომოტოტრანსპორტით გადაადგილებისა;

ლ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;

მ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;

ნ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

ო) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილებისა;

პ) ვიზიტორთა ყოფნა/გადაადგილებისა;

ჟ) გზებზე შინაური პირუტყვის სატრანზიტო გადარეკვისა;

რ) გზების და ბილიკების მოვლისა და მოწყობისა;

ს) აჯამეთის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაიშვება არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა. სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (კონსერვაციული მიზნებისა და არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არა უმეტეს 5მ³ საშეშე მერქანი). ძოვება და საქონლის გადაადგილება ბილიკებზე. პირადი მოხმარების მიზნით სოკოს, ხილ-კენკროვნებისა და სამკურნალო მცენარეების ნაწილების შეგროვება. მერქნიანი მცენარეების თესლების შეგროვება, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით „წითელი ნუსხით" დაცული მერქნიანი მცენარეებისა.

ტ) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა და ამავე წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 27³ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;

უ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №490 - ვებგვერდი, 03.11.2016წ.*

***დანართი 2***

**თავი VI**
**მენეჯმენტის გეგმის პროგრამები**

**მუხლი 37. მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა**

1. მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებასა და მიღწეული შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სსიპ დაცული

ტერიტორიების სააგენტო (ცენტრალური აპარატი და აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია).

2. სააგენტო უზრუნველყოფს, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართვას მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პროცესში.

3. მენეჯმენტის გეგმა განხორციელდება საოპერაციო გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავებული იქნება სამწლიანი პერიოდისთვის და გადაისინჯება ყოველწლიურად. მასში დეტალურად იქნება გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები, აგრეთვე კონკრეტული წლისთვის გაწერილი ბიუჯეტი.

**მუხლი 38. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები**

1. სიტუაციური ანალიზის დროს გამოიკვეთა ექვსი კონკრეტული თემა, რომელიც უზრუნველყოფს მენეჯმენტის გეგმის მიზნების, აქტივობებისა და ღონისძიებების პროგრამულ სტრუქტურას:

ა) პატრულირება და კანონის აღსრულება;

ბ) ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;

გ) კვლევა და მონიტორინგი;

დ) ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა;

ე) რეკრეაცია;

ვ) ადმინისტრაციის განვითარება.

2. მომდევნო მუხლებში აღწერილია პროგრამული მიზნები მენეჯმენტის თითოეული პროგრამისთვის, აგრეთვე ის შესაძლო აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს წლიური გეგმის შედგენისას საოპერაციო გეგმის ფარგლებში.

3. ღონისძიებებისა და ატივობების ეს ჩამონათვალი „მოსაზრებების კალათაა", რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს საოპერაციო გეგმის შემუშავებისას. ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ან შესწორდეს პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 39. მენეჯმენტის პროგრამა: პატრულირება და კანონის აღსრულება**

1. პატრულირებასა და კანონის აღსრულებასთან დაკავშირებულია შემდეგი ძირითადი პრობლემატური საკითხები:

ა) პატრულირებისა და მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობის ნაკლებობა და უკვე მოძველებულის ახლით შეცვლის საჭიროება;

ბ) პატრულისა და სამართალდამცველების მიერ პატრულირებისა და მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობის მოხმარების ცოდნის დაბალი დონე (მაგ., ფოტოხაფანგების, GPS აპარატურის გამოყენების, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დოკუმენტაციის შედგენა და სხვა);

გ) ადმინისტრაციის თანაშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ პატრულირებასა და კანონის აღსრულებას, არ აქვთ სათანადო სამუშაო პირობები, პარტულირებისა და კანონის აღსრულებისას მიღწეული წარმატებებისთვის „წახალისება/ჯილდოს" სისტემის არარსებობა.

2. პროგრამის მიზნები პატრულირებასა და კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | ინდიკატორები (რა შეფასდება მიზნების მიღწევა-არმიღწევის დადგენის მიზნით) |
|---|---|---|
| პმ. 1 | საჭირო აღჭურვილობის შეძენა, გარემონტება და შეცვლა. | პატრულირებისა და მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობა ხელმისაწვდომია, მათი გარემონტებისა და შეცვლისთვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებების ჩათვლით. |
| პმ.2 | დაცვის განყოფილების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება, პატრულირებისა და კანონის დაცვის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით. | დაცვის განყოფილების თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი არსებული აღჭურვილობის მოხმარებაში. მათ კარგად აქვთ განვითარებული სამუშაოს აღწერილობის შესაბამისი სხვადასხვა უნარი. |
| პმ.3 | დაცვის განყოფილების თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება მათი მოტივაციის და საქმიანობის ნაყოფიერების დონის ასამაღლებლად. | მოქმედებს უბნის პარტულირებისათვის მუდმივი პატრულირების გეგმა.<br>დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილია სოციალური და ჯანმრთელობის დაზღვევით.<br>მოქმედებს წახალისება / ჯილდოების სისტემა დაცვის განყოფილების თანამშრომლებისთვის. |

3. პატრულირებასთან და კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით პროგრამის მიზნების მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და აქტივობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| პმ.1 | საჭირო აღჭურვილობის შეძენა, გარემონტება და შეცვლა. | საჭირო აღჭურვილობასთან დაკავშირებით გეგმისა და ბიუჯეტის შედგენა სამოქმედო გეგმის ფარგლებში.<br>ახალი და დამატებითი აღჭურვილობის შეძენა, როგორიცაა დამატებითი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, GPS აპარატურა, ფოტოხაფანგები, პირადი აღჭურვილობა (ზამთრის ტანსაცმელი, პირველადი დახმარების კომპლექტებები, ბინოკლები, და ა.შ.), ცეცხლსასროლი იარაღი, სატრანსპორტო საშუალებები, თავშესაფრები და სხვა აღჭურვილობა, რაც აუცილებელია ეფექტური პატრულირებისა და კანონის აღსრულებისთვის.<br>ბალანსზე არსებული აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურების გრაფიკის შედგენა, საჭირო საბიუჯეტო დაფინანსების, აგრეთვე ტექნიკური მომსახურების შეძენის მეთოდის გათვალისწინებით. |
| პმ.2 | დაცვის განყოფილების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება პატრულირებისა და კანონის დაცვის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით. | დაცვის განყოფილების თანამშრომელთა ტრენინგი: GPS აპარატურის გამოყენებაში, რუკის კითხვასა და ორიენტირებაში, ფოტო-ხაფანგების, ფოტო და ვიდეოკამერების გამოყენებაში, პირველადი დახმარების გაწევა, კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით საჭირო საკანონმდებლო ბაზის ცოდნაში, ცეცხლთან ბრძოლასა და ცეცხლსაქრობი აღჭურვილობის გამოყენებაში, ზიანის / ზა-რალის შეფასებაში (მაგ.: უკანონო ჭრით მიყენებული ზარალი), ოქმების სწორად შედგენაში, საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის საჭირო უნარებში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში, გარეული ცხოველების, მათი ნიშნულების ამოცნობაში (მაგ.: ნაკვალევის, ნიშნულების, ექსკრემენტების, ხმების ამოცნობაში, ფრინველთა იდენტიფიცირებაში), ახალი ტექნოლოგიების (მაგ.: მობილური კავშირით აღჭურვილი ფოტოხაფანგების, უპილოტო საჰაერო ტრანსპორტის – დრონი) გამოყენებაში, სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებში, რესურსთსარგებლობაში მცენარეთა იდენტიფიკაციაში და ა.შ. |
| პმ.3 | დაცვის განყოფილების თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება მათი მოტივაციის და საქმიანობის ნაყოფიერების დონის ასამაღლებლად. | პატრულირების ყოველდღიური გეგმების შედგენა მთელი ტერიტორიისთვის.<br>უზრუნველყოფილია დაცული ტერიტორიების სააგენტოში გრძელვადიანი სოციალური და ჯანმრთელობის დაზღვევა.<br>საპატრულო და დაცვის განყოფილების თანამშრომლებისთვის „წახალისება / ჯილდოების სისტემის" შემუშავება. |

**მუხლი 40. მენეჯმენტის პროგრამა: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება**

1. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებულია შემდეგი ძირითადი პრობლემური საკითხები:

ა) დღეისათვის არ არსებობს ტყითსარგებლობის / კონსერვაციის გეგმა, რომელიც ადმინისტრაციას დაეხმარებოდა მეტყევეობასთან დაკავშირებული და საკონსერვაციო ღონისძიებების განსაზღვრაში აჯამეთის აღკვეთილის სამიზნე სახეობების დასაცავად;

ბ) მუხნარების ძირითადი ნაწილი გადაბერებულია და პრაქტიკულად არ არსებობს ახალგაზრდა მუხნარი ტყეები. იშვიათად გვხვდება 60 წელზე ნაკლები ასაკის მუხები და ძელქვები. კონსერვაციის ძირითადი მიზანი ძველი კორომების გაახალგაზრდავებაა;

გ) დაურეგულირებელი ძოვება უარყოფით ზეგავლენას ახდენს ტყის კორომებზე. სათანადო დონეზე არ ხორციელდება კანონაღსრულება უკანონო ძოვებასთან მიმართებაში.

2. პროგრამის მიზნები ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებით:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | ინდიკატორები (რა შეფასდება მიზნების მიღწევა-არმიღწევის დადგენის მიზნით) |
|---|---|---|
| პმ.4 | იმერეთის მუხისა (Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) მდგომარეობისა და განახლების შესაძლებლობის შეფასება. | ● იმერეთის მუხის (Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) (და, საჭიროებისამებრ, სხვა სახეობების,) გავრცელების, აღრიცხვის, მდგომარეობისა და განახლების შესაძლებლობის შეფასება გაკეთებულია და შედეგები არსებობს |
| პმ.5 | აჯამეთის აღკვეთილის საკონსერვაციო მიზნების მისაღწევად სატყეო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება იმერეთის მუხის (Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) უმნიშვნელოვანესი პოპულაციების შესანარჩუნებლად | ● კონსერვაციის შესახებ არსებული მითითებების შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებები;<br>● ინტენსიურად მიმდინარეობს იმერეთის მუხის და ძელქვის განახლება;<br>● მინიმუმ 20 ჰექტარზე უზრუნველყოფილია აღმონაცენ-მოზარდის დაცვა შინაური პირუტყვის ძოვებისაგან. |
| პმ.6 | მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობის განსაზღვრა კონსერვაციული მიზნების შესაბამისად. | ● კონსერვაციული მიზნების შესაბამისად განსაზღვრულია მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა. |
| პმ.7 | ძოვების მართვისა და მონიტორინგის გეგმის შემუშავება. | ●შემუშავებულია ძოვების მართვისა და მონიტორინგის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს როგორც დაშვების რეჟიმს, ისე მცენარეული საფარის მონიტორინგის მეთოდს. |
| პმ.8 | დაცულ ტერიტორიაში კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) იდენტიფიკაცია და გეგმების შექმნა მათი კონსერვაციისთვის. | ●კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) გავრცელების რუკა და საკონსერვაციო გეგმები არსებობს |

3. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| პმ.4 | იმერეთის მუხისა (Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) მდგომარეობისა და განახლების შესაძლებლობის შეფასება. | ● იმერეთის მუხის (Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) ტყეების მუდმივი მონიტორინგი<br>სანიმუშო ფართობების გამოყოფა შემდგომი უწყვეტი მონიტორინგის მიზნით შეფასების შედეგების მიხედვით აღდგენითი ღონისძიებების განსახორციელბლად მნიშვნელოვანი ადგილების შერჩევა. |
| პმ.5 | აჯამეთის აღკვეთილის საკონსერვაციო მიზნების მისაღწევად სატყეო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება იმერეთის მუხის (Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) უმნიშვნელოვანესი პოპულაციების შესანარჩუნებლად. | ● სატყეო საქმიანობასთან დაკავშირებული და საკონსერვაციო ღონისძიებები განსაზღვრულია იმერეთის მუხისა(Quercus imeretina) და ძელქვის (Zelkova carpinifolia) უმნიშვნელოვანესი პოპულაციების შენარჩუნების მიზნით.<br>●ტყის განახლების სხვადასხვა საპილოტე პროექტი შემუშავებულია, მიმდინარეობს განხორციელება და შეფასებულია. |
| პმ.6 | მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობის განსაზღვრა კონსერვაციული მიზნების შესაბამისად. | ●შემუშავებულია ინდივიდუალური სატყეო და საკონსერვაციო მოდელები, სადაც მითითებულია<br>● მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა კვარტლების, უბნებისა და ღონისძიებების მიხედვით.<br>მოსაჭრელი ხე-ტყე გაიცემა განსაზღვრული წესების საფუძველზე. |
| პმ.7 | ძოვების მართვისა და მონიტორინგის გეგმის შემუშავება. | ●განსაზღვრულია ძოვებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორიები, ასევე სატრანზიტო გადასარეკი დერეფნები, უზრუნველყოფილია კანონაღსრულება |

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| | | უკანონო ძოვებასთან დაკავშირებით.<br>●ტრენინგების ჩატარება პერსონალისთვის მცენარეული საფარის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით. |
| პმ.8 | დაცულ ტერიტორიაში კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) იდენტიფიკაცია და გეგმების შექმნა მათი კონსერვაციისთვის. | ●კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) შესწავლა, რუკაზე დატანა და გეგმების შექმნა მათი კონსერვაციისთვის. |

**მუხლი 41. კვლევა და მონიტორინგი**

1. კვლევასა და მონიტორინგთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემური საკითხებია:

ა) ამჟამად მონიტორინგი ძალიან მცირე მასშტაბებით მიმდინარეობს. მონიტორინგის არსებული სისტემა არაადეკვატურია როგორც მონიტორინგით მოცული სახეობების, ისე ამჟამად გამოყენებული მონიტორინგის მეთოდებით თვალსაზრისით;

ბ) არ ხორციელდება ჰაბიტატების, მათი მდგომარეობის და ხარისხის მონიტორინგი;

გ) ჯეროვნად არ არის შენახული ადრე მოგროვებული მონაცემები და ინფორმაცია, არ არსებობს არც მონაცემთა ბაზა და არც ბიბლიოთეკა;

დ) მონიტორინგის არსებული აღჭურვილობა არ არის საკმარისი;

ე) არ არსებობს მონაცემები და ინფორმაცია ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების შესახებ.

2. პროგრამის მიზნები კვლევასთან და მონიტორინგთან დაკავშირებით:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | ინდიკატორები (რა შეფასდება მიზნების მიღწევა-არმიღწევის დადგენის მიზნით) |
|---|---|---|
| პმ.9 | მონიტორინგის გეგმების შემუშავება ძირითადი სახეობებისთვის და მათი განხორციელება. | შემუშავებულია მონიტორინგის გეგმები წინასწარ განსაზღვრული ძირითადი სახეობებისთვის.<br>ჩატარდა პერსონალის ტრენინგი სახეობების მონიტორინგის განხორციელების მიზნით.<br>არსებობს სწორად შევსებული, მომზადებული და დაარქივებული მონიტორინგის აღრიცხვის მასალები |
| პმ.10 | ჰაბიტატების მგრძნობელობისა და მოწყვლადობის განსაზღვრა და ჰაბიტატის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და დანერგვა | შემუშავებულია ჰაბიტატის მონიტორინგის გეგმა წინასწარ განსაზღვრული მგძნობიარე და მოწყვლადი ჰაბიტატებისთვის.<br>ჩატარებულია პერსონალის ტრენინგი ჰაბიტატების მონიტორინგის განხორციელების მიზნით.<br>არსებობს სწორად შევსებული, მომზადებული და დაარქივებული მონიტორინგის აღრიცხვის მასალები. |
| პმ.11 | სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა, მოვლა. | ხელმისაწვდომია სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობა, მისი მოვლისთვის და განახლებისთვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებების ჩათვლით. |
| პმ.12 | ელექტრონული ბიბლიოთეკისა და მონაცემთა ბაზის შექმნა მონაცემებისა და ინფორმაციის ეფექტური შენახვის მიზნით. | შექმნილია ელექტრონული ბიბლიოთეკა და მონაცემთა ბაზა, GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების) მონაცემების ჩათვლით. |
| პმ.13 | ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა, აღნიშნული კონფლიქტების შემცირების გეგმის შემუშავება და დანერგვა. | შემუშავებულია ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების შემცირების გეგმა.<br>ხელმისაწვდომია სწორად შედგენილი და ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და მონაცემთა ბაზაში შეტანილი ანგარიშები და ოქმები ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების შესახებ. |

3. კვლევასა და მონიტორინგთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| პმ.9 | მონიტორინგის გეგმების შემუშავება ძირითადი სახეობებისთვის და მათი განხორციელება. | შესაბამისი ექსპერტების ჩართვა პროცესში ძირითადი სახეობებისთვის მონიტორინგის გეგმების შესამუშავებლად, შესაბამისი მეთოდოლოგიების, ვადებისა |

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| | | და მონიტორინგის სხვადასხვა აქტივობების რიგითობის, საჭირო ადამიანური რესურსების (პერსონალის რაოდენობა და საჭირო უნარები) მითითებით.<br>პერსონალის ტრენინგი სახეობათა მონიტორინგის გეგმების განხორციელებაში, მონიტორინგის აღჭურვილობის გამოყენებაში, მონაცემთა აღრიცხვის ფურცლების შევსებაში, შეგროვებული ინფორმაციის დამუშავებაში და ა.შ.<br>მონაცემთა შეტანა ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და მონაცემთა ბაზაში. |
| პშ.10 | ჰაბიტატების მგრძნობელობისა და მოწყვლადობის განსაზღვრა და ჰაბიტატის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და დანერგვა. | შესაბამისი ექსპერტების ჩართვა პროცესში მგძნობიარე და მოწყვლადი ჰაბიტატების განსაზღვრის და წინასწარგანსაზღვრული ჰაბიტატებისთვის მონიტორინგის გეგმების შემუშავების მიზნით, სტანდარტული მეთოდებისა და მონიტორინგის ინდიკატორების ჩათვლით, თითოეული ჰაბიტატისთვის.<br>ჩატარებულია პერსონალის ტრენინგი ჰაბიტატების მონიტორინგისთვის საჭირო უნარების გამოსამუშავებლად, მონიტორინგის აღჭურვილობის გამოსაყენებლად, მონაცემთა აღრიცხვის ფურცლების შესავსებად, შეგროვებული ინფორმაციის დასამუშავებლად და ა.შ.<br>მონაცემთა შეტანა ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და მონაცემთა ბაზაში. |
| პშ.11 | სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა, მოვლა. | სახეობათა და ჰაბიტატების მონიტორინგის გეგმებში მითითებული მონიტორინგის აღჭურვილობის შეძენა, მოვლა და ბიუჯეტში გათვალისწინება საოპერაციო გეგმის ფარგლებში. |
| პშ.12 | ელექტრონული ბიბლიოთეკის და მონაცემთა ბაზის შექმნა მონაცემებისა და ინფორმაციის ეფექტური შენახვის მიზნით. | მონაცემების შეტანა დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმილ დაცული ტერიტორიების სისტემის მთლიან ბაზაში. ბიბლიოთეკასა და მონაცემთა ბაზაში შესატანი მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომიბის უზრუნველყოფა (მხოლოდ იმ ინფორმაციისა, რომლის გასაჯაროებაც დასაშვებია). |
| პშ.13 | ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა, აღნიშნული კონფლიქტების შემცირების გეგმის შემუშავება და დანერგვა. | ზარალის შეფასების აღრიცხვის ფორმების შემუშავება.<br>დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების როლისა და პასუხისმგებლობის გაანალიზება ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების კუთხით, პრობლემების განხილვა და მხარეებთან შეთანხმება.<br>პერსონალის ტრენინგი ზიანის გამომწვევი ცხოველისა და დაზიანების ფაქტების თარიღის დასადგენად ასევე ზიანის ოდენობის სწორად განსასაზღვრად. |

**მუხლი 42. მენეჯმენტის პროგრამა: ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა**

1. ეკოგანათლებასა და საზოგადოებასთან ურთიერთიერთობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემური საკითხებია:

ა) არასაკმარისი ურთიერთობები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

ბ) არასრულყოფილი ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტებთან;

გ) პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა და არასაკმარისი უნარები.

2. ეკოგანათლებასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობასთან დაკავშირებით პროგრამის მიზნებია:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | ინდიკატორები (რა შეფასდება მიზნების მიღწევა-არმიღწევის დადგენის მიზნით) |
|---|---|---|
| პშ.14 | საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და ინფორმაციის რეგულარული გაცვლა. | • აჯამეთის აღკვეთილში იმართება და საგანმანათლებლო დაწესებულებების არაფორმალურ განათლებაში აქტიურად გამოიყენება ეკოტურები და ბუნებაში სწავლებები. |

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | ინდიკატორები (რა შეფასდება მიზნების მიღწევა-არმიღწევის დადგენის მიზნით) |
|---|---|---|
| პმ.15 | მიმდებარე სოფლებთან და მოსახლეობასთან ინფორმაციის ინტენსიური და რეგულარული გაცვლისა და კონსულტაციების პრაქტიკის გაუმჯობესება. | ● საკონსულტაციო ჯგუფი შექმნილია და რეგულარული შეხვედრები ტარდება მიმდებარე სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლებთან. |
| პმ.16 | ინფორმაციის გაზიარება ადგილობრივ მოსახლეობასთან. | ● იბეჭდება და ვრცელდება საინფორმაციო მასალები (მაგ.: ბუკლეტები, საიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნობა დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებს). |
| პმ.17 | აქტივობების განხორციელება ფართო საზოგადოებისა და სტუმრებისთვის. | ● რეგულარული და არარეგულარული (მწვანე კალენდრები) აქტივობები ფართო საზოგადოებისთვის.<br>● სტრატეგიულ ადგილებსა შესაბამის მედიასაშუალებებში განთავსებული ინფორმაცია. |

3. ეკოგანათლებასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| პმ.14 | საგანმანათლებლო დაწესებულე-ბებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და მათთან ინფორმაციის რეგულარული გაცვლა | ● სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაფართოება, მოაწყონ ღია გაკვეთილები ბუნებაში და ექსკურსიები აჯამეთის აღკვეთილის თანამშრომლებთან ერთად;<br>● ხეების რეგულარული დარგვის, თესლების შეგროვების და სხვა აქტივობების დაგეგმვა სკოლებისთვის;<br>● ისეთი სქემების დანერგვა, სადაც კლასები ან სკოლები პასუხისმგებლობას აიღებენ კონკრეტულ ტერიტორიაზე, სახეობაზე ან კონსერვაციასთან დაკავშირებულ სხვა ნათლად გამოკვეთილ ამოცანაზე. |
| პმ.15 | მიმდებარე სოფლებთან და მოსახლეობასთან ინტენსიური და რეგულარული კონსულტაციების პრაქტიკის გაუმჯობესება. | ● „ბრეინსტორმინგის" მოწყობა (მცირე ანალიზის ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან ერთად), თუ რომელ დაწესებულებებს ან ცალკეულ პირებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია რეგულარულად ან ვისგან უნდა მივიღოთ კონსულტაციები.<br>● შერჩეული დაწესებულებების და ხალხის დაპატიჟება გახსნის შეხვედრაზე და შემდეგი საკითხების განხილვა: შეხვედრების მიზანი, შეხვედრების რეგულარობა და მონაწილეები.<br>● შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფი, როგორც ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფორუმი. |
| პმ.16 | ინფორმაციის გაზიარება ადგილობრივ მოსახლეობასთან. | ●რეგულარული საინფორმაციო მასალის მომზადება აჯამეთის აღკვეთილში მიმდინარე მოვლენების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით (წლიური ანგარიშების დარიგება, წლიური ან 6-თვიანი ჟურნალის გამოცემა, სადაც დაიბეჭდება დაცულ ტერიტორიებთან და/ან ბუნების კონსერვაციასთან დაკავშირებული სტატიები). |
| პმ.17 | აქტივობების განხორციელება ფართო საზოგადოებისა და სტუმრებისთვის. | ●მონაწილება ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ ეროვნულ და საერთაშორისო კამპანიებსა და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებში და დასუფთავების აქციებში<br>●გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნის დაგეგმვა და თითოეული მათგანისთვის პროგრამის შემუშავება (სპეციფიკური ინფორმაციული მასალის მომზადება; მოწვეული მომხსენებლების დაპატიჟება შესაბამის თემებზე სასაუბროდ; ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების და სტუმრების წინასწარ მოწვევა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად და ა.შ.).<br>●კომპანიების / დაწესებულებების მოწვევა დაცულ ტერიტორიებზე მათი თანამ-შრომლებისთვის სხვადასხვა გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართვის მიზნით |

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| | | (ჯგუფური დავალებები, როგორიცაა: მარტივი საცალფეხო ხიდის აშენება ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად ან ბილიკის ნაგვისგან გაწმენდა და ა.შ.), სპონსორობა ან კორპორაციული სოციალური მხარდაჭერა და სხვა.<br>●მედიასაშუალებების გამოყენება, როგორიცაა გაზეთები, ადგილობრივი რადიოსადგურები და ტელევიზია.<br>ინფორმაციის სოციალური ქსელებით გავრცელება („ფეისბუქი", „თვითერი" და ა.შ.). |

მუხლი 43. მენეჯმენტის პროგრამა: რეკრეაცია

1. რეკრეაციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემური საკითხებია:

ა) არ არის ვიზიტორთა მიღებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

ბ) ზოგიერთ ადგილებში დანაგვიანება მასიური პრობლემაა.

2. დასვენებასთან დაკავშირებით პროგრამის მიზნებია:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | ინდიკატორები (რა შეფასდება მიზნების მიღწევა-არმიღწევის დადგენის მიზნით) |
|---|---|---|
| პმ.18 | ვიზიტორის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა. | ● შემუშავებულია კონცეფია შესაბამის დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით, რომელშიც გათვალისწინებულია რეკრეაციისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები. |
| პმ.19 | მარშრუტების / ტურისტული ბილიკების სისტემისა და რეკრეაციული ზონების შექმნა. | ● პრიორიტეტული ღონისძიებები განსაზღვრული და განხორციელებულია. |
| პმ.20 | არაკონტროლირებადი ნარჩენების შემცირება. | ● ნარჩენების საკითხი განხილულია თითოეულ პრობლემურ ადგილთან და სამომავლო ობიექტებთან დაკავშირებით.<br>● ვიზიტორებს მიეწოდათ ინფორმაცია ნარჩენების განსათავსებელი ადგილების შესახებ (ფირნიშები, შეტყობინებები ნაბეჭდ მასალაზე, ჯარიმების გამკაცრება დანაგვიანებისთვის და ა.შ.). |

3. დასვენებასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| პმ.18 | ეკოტურიზმის განვითარების კონცეფციის შემუშავება და დანერგვა. | ● ეკოტურიზმის განვითარების კონცეფციის დაფინანსების წყაროს მოძიება.<br>● შესაბამისი ინსტიტუციების განსაზღვრა კონცეფციის შესამუშავებლად.<br>● დისკუსიების მოწყობა რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებულ პირებთან, როგორიცაა, მაგ.: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, ციხის ნანგრევების კონსერვაციის თვალსაზრისით კონცეფციაში ჩადებული პოტენციალის შეფასების მიზნით (მათ შორის როლების და პასუხისმგებლობების განაწილება, განსახორციელებელი საკონსერვაციო ღონისძიებები, ვიზიტორებისთვის დასამუშავებელი ისტორიული ინფორმაცია და ა.შ.)<br>● ზონირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების და პოტენციული დასასვენებელი / საპიკნიკე ზონების განსაზღვრა. |
| პმ.19 | მარშრუტების /ტურისტული ბილიკების სისტემის და რეკრიაციული ზონების შექმნა. | ● კონცეფციით განსაზღვრული პოტენციური ბილიკების და ვიზიტორთა გაძღოლის ინფრასტრუქტურის პრიორიტეტიზაცია (ფეხით, ველოსიპედით, ცხენით გადაადგილებისთვის და ა.შ.).<br>● დაფინანსების მოძიება განხორციელება შეთანხმებული რიგითობის მიხედვით |
| პმ.20 | არაკონტროლირებადი ნარჩენების შემცირება. | ● შემუშავდეს და დაინერგოს ნარჩენების მართვის კონცეფცია. |

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| | | ● ნარჩენების მართვის და დანაგვიანების შესახებ ინფორმაციის საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალებში გათვალისწინება ვიზიტორთა ცნობიერების ამ მიმართულებით ამაღლების მიზნით.<br>● ვიზიტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება ნარჩენების განთავსების თაობაზე (ანუ რა უნდა უყოს დამთვალიერებელმა თავის ნარჩენებს; სად უნდა განთავსდეს ისინი და ა.შ. ). |

**მუხლი 44. სამენეჯმენტო პროგრამა: ადმინისტრაციის გაძლიერება**

1. ადმინისტრაციის გაძლიერებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემური საკითხებია:

ა) ადმინისტრაცია საჭიროებს სიცხადეს კონსერვაციის რეჟიმებთან, ამოცანებთან და მიზნებთან დაკავშირებით;

ბ) საჭიროა დასაქმების პირობების და პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესება;

გ) საჭიროა დამატებითი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა;

დ) საჭიროა პერსონალის უწყვეტი ტრენინგი.

2. ადმინისტრაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით პროგრამის მიზნებია:

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | ინდიკატორები (რა შეფასდება მიზნების მიღწევა-არმიღწევის დადგენის მიზნით) |
|---|---|---|
| პმ.21 | დამატებითი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღჭურვილობის დამატება. | ● დამატებითი ინფრასტრუქტურა აშენებულია და აღჭურვილია სათანადოდ. |
| პმ.22 | პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესება. | ● სამუშაო პირობები გაუმჯობესებულია. |
| პმ.23 | მიზნობრივი ტრენინგი პერსონალის უნარების დასახვეწად. | ● თანამშრომელთა უმრავლესობისათვის ჩატარებულია ტრენინგები სხვადასხვა სფეროში. |

3. ადმინისტრაციის გაძლიერებასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები::

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| პმ.21 | დამატებითი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღჭურვილობის დამატება | ● კონცეფციის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება დამატებითი ინფრასტრუქტურის საჭიროება, ხარჯთაღრიცხვის ჩათვლით – რეინჯერების თავშესაფრები, დასასვენებელი ადგილები, გზები, ღობეები, საპიკნიკე ადგილები.<br>● დამატებითი ინფრასტრუქტურისთვის დაფინანსების წყაროების მოძიება.<br>● პრიორიტეტებისა და არსებული დაფინანსების მიხედვით მშენებლობა, საჭირო აღჭურვილობის დადგენა და შეძენა. |
| პმ.22 | პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესება. | ● წახალისების, როგორც ხელფასის კომპონენტის, შემოღება.<br>● რეინჯერებისთვის გადაადგილების საშუალებების გაუმჯობესება.<br>● აღჭურვილობის გაუმჯობესება.<br>● ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც პერსონალს საშუალებას მისცემს, გამოცდილება გაუზიაროს ქვეყნის სხვა დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს, საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტების ჩათვლით. |
| პმ.23 | მიზნობრივი ტრენინგი პერსონალის უნარების დასახვეწად. | ● ტრენინგების საჭიროების შეფასება და ტრენინგების გეგმის შემუშავება: ადმინისტრაციული უნარების, ტექნიკური უნარების და ვიზიტორთა მართვის, კანონაღსრულების, ბუნებრივი რესურსების მართვის, საკომუნიკაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.<br>● ტრენინგების საჭიროების შეფასების ფარგლებში გამოვლენილ სფეროებში პერსონალის კვალიფიკაციის |

| № | მიზანი (რისი მიღწევა გვსურს გეგმის განხორციელების დასრულებისთვის) | შესაძლო ღონისძიებები და საქმიანობები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად) |
|---|---|---|
| | | ამაღლება.<br>● ტრენინგების განხორციელება გეგმის მიხედვით. |

## თავი VII
## მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგი

**მუხლი 45. ინდიკატორები და მათი შერჩევის დასაბუთება**

მენეჯმენტის გეგმის შესრულების ინდიკატორები პროგრამის მიზნებისთვის მოცემულია VI თავში. ინდიკატორები შეირჩა გაზომვადობის (რაოდენობრივი და ხარისხობრივი) პრინციპების და ვადების მიხედვით.

**მუხლი 46. პროცესი, რომელიც მოიცავს მონიტორინგს მენეჯმენტის გეგმის მიზნების განხორციელების ჭრილში**

1. მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგი ორიენტირებულია აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე უწყვეტი, ადაპტაციური მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს სამენეჯმენტო ღონისძიებების გამოცდილებისა და უახლესი ინფორმაციის ჭრილში გადასინჯვის პროცესს.

2. ადმინისტრაცია მონიტორინგს შემდეგი პერიოდულობით განახორციელებს:

ა) წლიური მონიტორინგი:

ყოველი წლის ივნისში ადმინისტრაცია მოამზადებს ანგარიშს განხორციელებული ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ. ანგარიში იქნება სამწლიანი სამოქმედო გეგმის გადასინჯვისა და განახლების საფუძველი, რომელიც წლიური ბიუჯეტის შედგენის საფუძველია.

ბ) მენეჯმენტის ეფექტიანობის სამწლიანი მონიტორინგი:

მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მესამე და მეექვსე წლების დასასრულს ადმინისტრაცია განახორციელებს მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასებას „მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტის“ (METT) გამოყენებით. შედეგების ძირითად შეფასებასთან შედარებით, რომელიც 2015 წელს განხორციელდება, ადმინისტრაცია შეძლებს განსაზღვროს, თუ რა იქნა მიღწეული მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლების კუთხით და მიღებული გამოცდილების ჭრილში შეასწოროს მენეჯმენტის გეგმის ღონისძიებები და აქტივობები.

გ) ყოვლისმომცველი ანალიზი:

მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მეექვსე წელს ადმინისტრაცია განახორციელებს ყოვლისმომცველ, განახლებულ სიტუაციურ და მიზნებისა და ამოცანების ანალიზს. განახლებული სიტუაციური ანალიზი და მიზნებისა და ღონისძებების მიმოხილვა ახალი ექვსწლიანი მენეჯმენტის გეგმის შედგენის საფუძვლად იქცევა.

**დანართი**

1. აჯამეთის აღკვეთილის ადგილმდებარეობის, საზღვრებისა და ინფრასტრუქტურის რუკა;
2. აჯამეთის აღკვეთილის რესურსებით სარგებლობის რუკა;
3. აჯამეთის აღკვეთილის ზონირების რუკა;
4. აჯამეთის აღკვეთილის ფლორის სახეობების სიები:

ა) ფლორა;

ბ) სოკოები.

5. აჯამეთის აღკვეთილის ფაუნის სახეობების სიები:

ა) ძუძუმწოვრები;

ბ) ფრინველები;

გ) ქვეწარმავლები;

დ) ამფიბიები;

ე) თევზები;

ვ) უხერხემლო ცხოველები.

6. აჯამეთის აღკვეთილის მკაცრი დაცვის ზონის გეოგრაფიული კოორდინატები.
7. აჯამეთის აღკვეთილში ძელქვისა და იმერული მუხის აღდგენისათვის რეკომენდირებული ტერიტორიები.

**დანართი №1.**

ა) აჯამეთის აღკვეთილის ადგილმდებარეობის, საზღვრებისა და ინფრასტრუქტურის რუკა



დანართი №2

ბ)  აჯამეთის აღკვეთილის რესურსებით სარგებლობის რუკა




დანართი №3

გ)  აჯამეთის აღკვეთილის ზონირების რუკა



**დანართი №4.**

აჯამეთის აღკვეთილის ფლორის სახეობათა სია

ა) ფლორა

| ლათინური სახელწოდება | ქართული სახელწოდება | საქართ. ენდემი | კავკას. ენდემი | საქართ. წითელი ნუსხა | IUCN -ის წითელი ნუსხა |
|---|---|---|---|---|---|
| *Acer campestre L.* | ჩვეულებრივი ნეკერჩხალი | | | | |
| *Alnus barbata C.A.Mey.* | ჩვეულებრივი მურყანი | | √ | | |
| *Buxus colchica Pojark.* | კოლხური ბზა | | | | |
| *Carpinus caucasica Grossh.* | კავკასიური რცხილა | | | | |
| *Carpinus orientalis Mill.* | ჯაგრცხილა | | | | |
| *Celtis caucasica Willd.* | კავკასიური აკაკი | | | | |
| *Cerasus avium (L.) Moench* | ბალი | | | | |
| *Crataegus microphylla K.Koch* | წვრილფოთოლა კუნელი | | | | |
| *Fagus orientalis Lipsky* | აღმოსავლური წიფელი | | | | |
| *Ficus carica L.* | ლეღვი | | | | LC |
| *Fraxinus excelsior L.* | იფანი | | | | |
| *Galeopsis bifidaBoenn.* | – | | | | |
| *Gleditsia triacanthos L.* | გლედიჩია | | | | |
| *Gratiola officinalis L.* | – | | | | |
| *Hedera caucasigena Pojark.* | | | √ | | |
| *Hedera colchica (K.Koch) K.Koch* | კოლხური სურო | | | | |
| *Helleborus caucasicus A.Braun* | | | √ | | |
| *Ilex colchica Pojark.* | ბაძგი, ჭყორი | | | | |
| *Laurocerasus officinalis M. Roem.* | წყავი | | | | |
| *Mespilus germanica L.* | ზღმარტლი | | | | |
| *Morus alba L.* | თუთა | | | | |
| *Ornithogalum imereticumSosn.* | | | √ | | |
| *Paris incompleta M.Bieb.* | ხარისთვალა | | √ | | |
| *Polygala makaschwilii Kem.-Nath.* | მაყაშვილის წიწინაური | | √ | | |
| *Populus canescens (Aiton) Sm.* | – | | | | |
| *Populus nigra L.* | ოფი | | | | LC |
| *Prunus divaricata Ledeb.* | ტყემალი | | | | |
| *Pyrus caucasica Fed.* | პანტა | | | | |
| *Quercus hartwissiana Steven* | კოლხური მუხა | | | | |
| *Quercus iberica Steven ex M.Bieb.* | ქართული მუხა | | | | |
| *Quercus imeretina Steven ex* | იმერული მუხა | | √ | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *Woronow* | | | | | |
| *Rhododendron luteum Sweet* | *იელი* | | | | |
| *Rhododendron ponticum L.* | *პონტური შქერი* | | | | |
| *Rhamnus frangula L.* | *ხეჭრელი* | | | | |
| *Rosa canina L.* | *ასკილი* | | | | |
| *Rosa gallica L.* | *დამასკური ვარდი, კაზანლიკური ვარდი* | | | | |
| *Rubus hirtus* | *მაყვალი* | | | | |
| *Ruscus ponticus Woronow* | *თაგვისარა* | | | | |
| *Smilax excelsa L.* | *ეკალღიჭი* | | | | |
| *Sorbus torminalis (L.) Crantz* | *თამელი* | | | | |
| *Taxus baccata L.* | *ურთხელი* | | | *VU* | *LC* |
| *Ulmus minor Mill. subsp. minor* | *თელა* | | | | |
| *Viburnum opulus L.* | *ძახველი* | | | | |
| *Zelkova carpinifolia (Pall.) K. Koch* | *ძელქვა* | | | | |

ბ) სოკოები

| ლათინური სახელწოდება | ქართული სახელწოდება | საქართ. ენდემი | კავკას. ენდემი | საქართ. წითელი ნუსხა | IUCN -ის წითელი ნუსხა |
|---|---|---|---|---|---|
| *Agaricus silvaticus Schaeff.* | *ტყის ქამა* | | | | |
| *Agrocybe semiorbicularis(Bull.) Fayod* | | | | | |
| *Amanita caesarea(Scop.) Pers.* | *ნიყვი* | | | | |
| *Amanita citrina Pers.* | *ბილწა სოკო* | | | | |
| *Amanita fulva Fr.* | *წაბლისფერი ლივლივა* | | | | |
| *Amanita gemmata(Fr.) Bertill.* | *ყვითელი ბილწა სოკო* | | | | |
| *Amanita muscaria(L.) Lam.* | *ცადამაყვანა* | | | | |
| *Amanita pantherina(DC.) Krombh.* | *თავჭედილა* | | | | |
| *Amanita rubescensPers.* | *მარწყვიო* | | | | |
| *Amanita vaginata(Bull.) Lam.* | *რუხი ლივლივა* | | | | |
| *Armillariella mellea(Vahl) P. Karst.* | *მანჭკვალა* | | | | |
| *Astraeus hygrometricus(Pers.) Morgan* | *მიწისვარსკვლავა* | | | | |
| *Boletus edulisBull.* | *დათვის სოკო* | | | | |
| *Boletus erythropus Pers.* | *წითელფეხა მუხისძირა* | | | | |
| *Boletus luridusSowerby* | *მუხისძირა* | | | | |
| *Boletus satanasLenz* | *სატანას სოკო* | | | | |
| *Botryosphaeria melanops(Tul. & C. Tul.) G. Winter* | | | | | |
| *Calocera viscosa(Pers.) Fr.* | _ | | | | |
| *Cantharellus cibariusFr.* | *მიქლიო (ქათამბარკალა)* | | | | |
| *Cerrena unicolor(Bull.) Murrill* | _ | | | | |
| *Clithris quercina(Fr.) P. Karst.* | _ | | | | |
| *Clitocybe nebularis(Batsch) P. Kumm.* | *მინდვრის სოკო* | | | | |
| *Clitopilus prunulus(Scop.) P. Kumm.* | *ალუბლისძირა* | | | | |
| *Coccomyces dentatus(J.C. Schmidt & Kunze) Sacc.* | | | | | |
| *Collybia confluens(Pers.) P. Kumm.* | _ | | | | |
| *Collybia dryophila(Bull.) P. Kumm.* | *გაზაფხულის მანჭკვალა* | | | | |
| *Conocybe tenera(Schaeff.) Fayod* | _ | | | | |
| *Coprinus disseminatus(Pers.) Gray* | _ | | | | |
| *Coprinus micaceus(Bull.) Fr.* | *მგლის სოკო* | | | | |
| *Coriolus hirsutus(Wulfen) Pat.* | _ | | | | |
| *Coriolus pubescens(Schumach.) Quél.* | _ | | | | |
| *Coriolus versicolor(L.) Quél.* | _ | | | | |
| *Coriolus zonatus (Nees) Quél.* | _ | | | | |
| *Craterellus cornucopioides(L.) Pers.* | *ძაბრა სოკო* | | | | |
| *Crepidotus applanatus(Pers.) P. Kumm.* | _ | | | | |
| *Crepidotus mollis(Schaeff.) Staude* | _ | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *Cyathus striatus(Pers.) Fr.* | ჩიტისბუდა | | | | |
